ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 110
მაისის 29, ოთხშაბათი, 1902 წ.
1877

# ივერია

№ 110
მაისის 29, ოთხშაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**მაისის 16-დგან „ივერიის" რედაქცია გადმოვიდა სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, გალერეი: №№ 117 და 118, თ. გრ. ნ. დიასამიძის სტამბის გვერდით.** (10—9)

**პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი**

## „ი ვ ე რ ი ა"

**ღირს შვიდ მანეთად და ხუთ შაურად** (7 მ. 25 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

**ქუთაისში:**—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:** მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).

**ბაქოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდპირ).

**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ზუგდიდში:**—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქეცხიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія".

### ღვთის-მოყვარულთა ქრისტეანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზე და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა ავაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ.

ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ვთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

**ჩ ე მ ი ა დ რ ე ს ი:**

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагореви, причетнику Алексѣю Арганашвили. (5—უ.—3)

**მაისის დამლევს დაიწყობა**

## არტისტიული მოგზაურობა

ტფილისის ქართულ დრამატიულ დასისა

**ვალერიან გუნიას გამგეობით**

მსახიობნი ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, გვიშვილი, ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, ბეგლარიძე, ყალამბეგაშვილი და სხვანი.

**დროგამოშვებით მოწვეული იქნება ვლ. ალექსი-მესხიშვილი**

დასი თითო ან ორ-ორ წარმოდგენას გამართავს შემდეგ ადგილებში: ქუთაისში, ხონში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, ახალ-სენაკში, სამტრედიაში, ყვირილაში, ჭიათურაში, დუშეთში, კავკავში, ბაქოში, ალექსანდრეპოლში, განჯაში და ყარსში.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწდომი იქნება, პიესები ახალი და მოწონებული საზოგადოების-მიერ წრევანდელ სეზონში. პირველი წარმოდგენა დაიწყება ქუთაისიდან.

რეჟისორი და გამგებელი ვალ. გუნია.

**ქართველ ქალთა**

## ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ ს ა კ ე რ ა ვ ს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჭრავენ ნიშნებს (мѣтки). ბარონის ქუჩა № 12.

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

**მაღალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დედა საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

## სამშობიარო თავშესაფარი

**პ. ვ. ბაზინა-ლაცინოვისა.**

მოწყობილი ოთახები ორსულთა და მშობიარეთათვის ფასით.

ოთახები საიდუმლო ავადმყოფთათვის.

ნიკოლოოზის ქუჩა № 46, მეორე სართული, ტელეფონი № 744. (3—3)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**კ. ი. ბძელიშვილი.** 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

**გ. ა. თარხანოვი.** 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лечебница д-ра Н а в а с а р д і а н ц а. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. პიპინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა 9—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ზ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვები ავადმყოფობათა, 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

**ა. ვ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**სტ. ა. ვოინო**—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**მ. ი. იანჩევსკი:** ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:**

**ზ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

**ტფილისი, მაისის 29.**

ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ უმაღლესმა მთავრობამ განკარგულება მოახდინა გასცეს სახაზინო მიწები კერძო კაცთა სასარგებლოდ ვენახისა, ხეხილისა და სხვა ძვირფას მცენარეთა ბაღების გასაშენებლადაო. მამულები ჯერ იჯარით გაიცემა, ხოლო ხუთის წლის შემდეგ იჯარადარს ნება ექმნება მამული საკუთრებად შეისყიდოს. წლიურ იჯარის რაოდენობა გამორკვეული იქმნება იმის მიხედვით, თუ რა საიჯარო ფასებია მამულისა ახლო-მახლო ადგილებში. ხოლო საკუთრებად მამულის შეძენის დროს ფასი მისი სათანადო მთავრობამ უნდა გამოარკვიოს ამ სახით: წლიურ იჯარის ფასი უნდა გამრავლებულ იქმნას ოცჯერ. ვსთქვათ; იჯარადარი იხდის წლიურად 30 მან., მამული დაფასდება 600 მანეთად. ამ ფულის გადახდას მთავრობა დააცდის მამულის შესყიდვის მსურველს 37 წლის განმავლობაში. სარგებელს გადაახდევინებს 5%-ს, ესე იგი ყოველ ას მანეთზედ 5 მანათს, ხოლო თავნის ვალის მოსაშორებლად ყოველ-წლივ მოვალემ უნდა იხადოს განსაზღვრული ნაწილი ფულისა, ისე როგორც საადგილ-მამულო ბანკებშია.

მთავრობის ასეთი საყურადღებო განკარგულება დამტკიცდა უმაღლესად მარტის 11 ამა 1902 წ. გამოცხადდა ეს განკარგულება მხოლოდ ამ ერთის თვის წინად. დაწვრილებით ყოველივე წესი და რიგი სახაზინო მამულების გაცემისა კერძო კაცთა სასარგებლოდ იმ აზრით, რაც ზემორე მოვიხსენეთ, უკვე დაბეჭდილია „Правит. Вѣст."-ის მე-111 ნომერში.

ადვილი მისახვედრია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზემოხსენებულს განკარგულებას განსაკუთრებით იმ ქვეყნებისათვის, სადაც ადვილია ვენახისა და ხეხილიანის ბაღის მოშენება, ან სადაც, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ჰავა და ნიადაგი მიწისა ხელს უწყობს მეურნეს ძვირფას მცენარეთა კულტურას მიჰყოს ხელი. ამ განკარგულების ძალით ყველას შეუძლიან აიღოს იჯარით მთავრობისაგან მამული, არა უმეტეს-კი 25 დესეტინისა, ისეთს ალაგას, სადაც ვენახის გაშენება, ხეხილის ხარება და ბაღის გაკეთება ძნელი მოსახერხებელი არ არის.

მიწათ-მოქმედების სამინისტრო აცხადებს, რომ ჯერ საქმე-საქმეზედ არ არის მიმდგარი და უკვე ახლავე შემოაქვთ თხოვნები, მოგვეცით მამულები იჯარითაო. ასეთის თხოვნების გზავნა-კი ჯერ-ჯერობით ნაადრევია, როგორც ეს ცხადად სჩანს თვით კანონის წაკითხვით. ამ კანონის აღსასრულებლად უპირველეს ყოვლისა უნდა დაარსდეს ყველგან და, სხვათაშორის, ჩვენშიაც ცალკე კომისიები, რომლებმაც უნდა გამოარკვიონ, სახელდობრ, სად და რომელი სახაზინო მამულები შეიძლება მიეცეთ მსურველთ ზემოხსენებულის პირობითა. შემდეგ, როცა კომისიები გაათავებენ თავიანთ მუშაობას, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ უნდა სთხოვოს სახელმწიფო საბჭოს, რომ ამა და ამ ადგილას ამდენი და ამდენი დესეტინა მამული შეიძლება მიეცეს იჯარით კერძო კაცთ ვენახებისა და ბაღების გასაშენებლადაო. შემდეგ, როცა სახელმწიფო საბჭოს აზრი ამა თუ იმ რაოდენობის მამულების გაცემის შესახებ უმაღლესად დამტკიცდება, უნდა შემუშავებულ იქმნას დაწვრილებით, როგორ მოეწყოს საერთოდ ის მამულები: რა გზები გაკეთდეს, რა არხები იქმნას გაყვანილი, სად ამოშრობილ იქმნას ჭაობები და სხვ. ამასთანავე უნდა გამოირკვეს, რა წესით და რიგით გაშენდეს ვენახები, თუ ხეხილიანი ბაღები და ან როგორ უნდა შეასრულონ მოიჯარადრეებმა ზოგიერთი მათთვის სავალდებულო სამუშაო. უნდა გამოიცეს მაშინვე წესი, რომლითაც წინდაწინვე გამორკვეული იქმნება, რა იჯარა უნდა გადაიხადოს ამა თუ იმ მამულის ამღებმა.

ამ სახით, იმ დრომდე, ვიდრე დაიწყება დარიგება მამულებისა მსურველთათვის, ბევრი რთული საქმე უნდა გაკეთდეს. ყოველ ამას მცირე დრო არ მოუნდება. როცა ყოველ ამ საქმეს გაასამაგისებენ, როგორც ადგილობრივ ისე უმაღლეს მთავრობის დაწესებულებანი, მხოლოდ მაშინ გამოცხადდება გაზეთებში, რომ აი ამა და ამ პირობით შეიძლება მიიღოს მსურველმა მამული და ამა და ამ ვადაზედ უნდა შეატყობინოს თავისი სურვილი მამულის ამღებმა სახელმწიფო ქონებათა გამგეობასა. მანამდე-კი ყოველი თხოვნა ამ საგნის შესახებ უშედეგოდ იქმნება დატოვებული და არც არავითარი უპირატესობა არ მიეცემა ასეთს თხოვნას იმ თხოვნათა წინაშე, რომელიც თავის დროზედ და თავის წესით იქმნება მირთმეული, სადაც ჯერ არს.

ასეთია ვითარება იმ საქმისა, რომელსაც, როგორცა ვსთქვით, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, სხვათა შორის, ჩვენის ქვეყნისათვისაც. საქართველოში ბევრია გლეხიცა, აზნაურიცა და სამღვდელოც, აგრეთვე ვაჭარი, რომელსაც გულით უნდა შეძენა მამულისა და გაშენება ვენახისა თუ ბაღისა. ყოველ-წლიურ მცირე იჯარის გაღებით ამისთანა მსურველი ადვილად იშოვის მამულს ათიდან 25 დესეტინამდე, ისიც არა მხოლოდ ერთს ალაგას, არამედ შეიძლება ორს ალაგასაც და შეუდგება ვენახისა ან ხეხილის ბაღის გაშენებას, რომელიც შემდეგ სამუდამოდ უზრუნველ-ჰყოფს მის ცოლ-შვილს, მის შთამომავლობას და გახდის საკუთარ მამულის პატრონად.

ახალის კანონით სავალდებულო არ არის, რომ მამულის ამღები მაშინვე შეუდგეს ვენახის გაშენებას აღებულ მამულზედ. ამისათვის ორის წლის ვადა ექმნება მიცემული. მხოლოდ იჯარის ვადის გასვლამდე მამულის ამღებმა უნდა გააშენოს ან დარგოს ხეხილი ნახევარ მამულზედ მაინც, ხოლო მეორე ნახევარი შეიძლება დაიკავოს სახლ-კარმა, ბოსტანმა, ან დატოვებულ იქმნას სახნავ-სათესად და საბალახედ.

არც ის პირობა იქნება ძნელი ასასრულებელი, რომ მამულის ამღებმა უნდა მცირე რამ გადასახადი გაიღოს, რათა ამ ფულით შესდგეს თანხა მთლად გასაცემ მამულების საერთო მოსაწყობად.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ახალს კანონს კარგად ჩაუკვირდება ჩვენი ხალხი, წინ-და-წინვე იზრუნებს და ყოველს საჭირო თავდარიგს დაიჭერს, რომ, როცა დრო მოვა, მოუმზადებელი არ დაჰხვდეს ამ საქმეს. ჩვენის ინტელიგენციისა და შეგნებულის სამღვდელოების ვალია აუხსნას ეს ახალი საყურადღებო განკარგულება ხალხს, მეტადრე იქ, სადაც სივიწროვეა მამულისა და საჭირო ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ საქმეში, თორემ, ჩვენი ამბავი რომ ვიცით, ყურს წავიყრუებთ, დროზედ არაფერს ვიზრუნებთ და, როცა ყველა სხვა საქმეს გაირიგებს და ჩვენ ხახა-მშრალნი დავრჩებით, მაშინ მოვყვებით ჩივილს," ეს რა მოგვივიდა, რად გავუშვით ხელიდგან ისეთი კარგი შემთხვევა; დღეს ხომ მამულის პატრონები ვიქნებოდით და ცოლ-შვილი სამუდამოდ უზრუნველ-ყოფილი გვეყოლებოდაო.

მაშ ვეცადოთ და ნუ დავკარგავთ ამისთანა შემთხვევას. რასაც კანონი გვაძლევს, ავიღოთ სრულად და სავსებით.

## სხვა-და-სხვა წერილები:

### კრიტიკული სიმჩატე „კვალის" „მოსაუბრისა"

(იხ. „კვალი" № 19, 1902 წ.)

საკვირველ კრიტიკულ სიმჩატეს იჩენს „კვალის" ცნობილი (!) „მოსაუბრე". იგი ყველაფერს ეპოტინება, ყველაფრის შესახებ მსჯელობს, მაგრამ საგანს პეპელასავით მჩატედ თავს დასტრიალებს და ოდნავ ეხება, გულში ვერ სწვდება. სწორედ ლიტერატურული პეპელაა.

ერთი მაგალითი მისის სიმჩატისა, როგორც მკითხველს ეხსომება, უკვე აღვნიშნე, აი მეორე მაგალითიც. ბატონი „მოსაუბრე" ბძანებს, ვითომც აკაკი წერეთელი სრულიად უარ-ჰყოფდეს ქალების განათლებას „ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით"; „მისი (აკაკის) აზრითო, განაგრძობს ავტორი, სრულიად საკმარისია დაბალი სასწავლებელი, სადაც ისინი (ქალები) ჰრა-კერვას და მზარეულობას ისწავლიან და ამასთან ბავშვების აღზრდასო". ცილის წამებაა. არასოდეს აკაკის ასეთი სისულელე არ უთქვამს. მან მხოლოდ ისა სთქვა, რომ, უმაღლესად ნაბოძებ 20,000 მანეთით დაბალი სასწავლებელი დავაარსოთო. როგორც მკითხველი ჰხედავს, აკაკის აზრსა და იმ აზრს შორის, რასაც ბ-ნი „მოსაუბრე" მიაწერს, ძლიერ დიდი ზღვარი სძევს.

შემდეგ ავტორი ბრძანებს, ვითომც აკაკი ურჩევდეს ქალებს, დაჯექით სახლში და „მატყლი ჩეჩეთო". ესეც ხომ ცილის-წამებაა. აკაკი იმ აზრისა არის, რომ ყოველმა კაცმა და, სხვათა შორის, ქალმა უნდა იცოდეს რაიმე ხელობა; ამ აზრს ადგია, როგორც ვუწყით, ეხლანდელი პედაგოგია. დიალაც ბუნების-წინააღმდეგია ის მოვლენა, როდესაც ქალს თავის „ფუნჩულა" ხელებით არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ვინ უარ-ჰყოფს, ბ-ნო „მოსაუბრე", ახლა იმ საანბანო ჭეშმარიტებას, რომ ქალისთვისაც საჭიროა მეცნიერების შესწავლა? მაგრამ ერთის უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობას არ უნდა მივმართოთ და ქალი არ უნდა გადავაქციოთ საბრალო არსებად, რომელმაც, თუმცა ყველაფერი იცის, მაგრამ არავითარი ფიზიკური მოქმედება არ შეუძლია. აქ მარტო ჰრასა და კერვაზე არ არის საქმე. საჭიროა საზოგადოდ ოჯახობის შესწავლა.

რომ ჩვენის „განათლებულ" ქალების დიდი ნაწილი „ლობიოს მუხუდოსაგან ვერ არჩევს" და „ერთის ნემსის ამოზნევაც არ შეუძლია", ბ-ნ „მოსაუბრეს არ სჯერა". ვისაც-კი თვალნი აქვს ხედვად, მას-კი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ეს ამბავი. „ნეტა მართლა ასეთია თანამედროვე ქართველი ქალი? ნეტა არაფერში არ ღებულობს იგი მონაწილეობას? ნეტა მართლა არ აღელვებენ მას საზოგადო საქმეები?"—კითხულობს ბ-ნი „მოსაუბრე". მერე და ვინ სთქვა, არაო. განა მამაკაცები არ მოღვაწეობენ? მაგრამ ვინ იტყვის, რომ იგინი კარგად არიან აღზრდილნიო?! პირ-იქით, ყველა იმას გაიძახის ახლა, რომ „განათლებული" მამაკაცები დასახიჩრებულნი არიან ეხლანდელ აღზრდის მეოხებითაო.

„ერთი ვიკითხოთ, ჩვენ, მამაკაცებმა, ... რამდენით გავასწარით წინ ქალებს?" კით-

ხულობს ბ-ნი „მოსაუბრე“. რამდენადაც ვიცით, აკაკი არც მამაკაცების შესახებაა ოპტიმისტი.

„მართლაც რომ ჩვენს ხალხს სულ ერთიანად დაევიწყებიოს ქართული ენა და სხვა ენაზე დაეწყოს ლაპარაკი, იმ შემთხვევაშიაც მარტო ამის მიხედვით ვერ დავგმობდით აწმყოს და ვერ ვაქებდით წარსულს, ვინაიდგან ცხოვრებაში გარდა ენისა ჩვენ სხვა რამესაც ვხედავთ, რასაც უფრო მეტი და არსებითი მნიშვნელობა აქვს“, ბრძანებს ბ-ნი „მოსაუბრე“.

კარგი იქნებოდა, აეხსნა ჩვენთვის ბ-ნ „მოსაუბრეს“, რას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს დედა-ენაზედ? დამტკიცებულია, რომ გონებრივი აღზრდა ახალგაზდობისა მაშინ გამოიღებს სრულ იმ ნაყოფს, რაც ადამიანის სულიერ პოტენციად ენერგიისათვის შესაძლებელია, როდესაც აღზრდა დაუბრკოლებლად სწარმოებს, ე. ი. დედა-ენაზეა დამყარებული. საუკეთესო დრო, როდესაც ბავშვის ტვინი ჯერ კიდევ ნორჩია, ხელ-უხლებელი, როდესაც ცნობის-მოყვარეობა სჩქეფავს, თავისუფალ გზას იკვლევს, როდესაც ბავშვს უნდა შეასწავლოთ ბუნება და მისი კანონები, ამ დროს მის ნორჩ გონებას გრამმატიკითა და უცხო სიტყვების დაზეპირებით აწუხებთ და იძახით, ეს არაფერიაო?! და როდესაც ჩვენ ჩვენი აზრი არ ძალგვიძს გავაცნოთ ჩვენს მოძმეებს, ნუ-თუ ესეც არაფერია?! რომ ქართველმა ერმა ქართული დაივიწყოს და სხვა ენაზედ ილაპარაკოს, არც მაშინ დავგმობდით აწმყოსო! თუ ჰგონია ბ-ნ „მოსაუბრეს“, რომ რამე ღრმა აზრი სჩანს ამ სიტყვებში! რასაკვირველია, რომ ქართველი ქართველი არ იქმნეს, ქართველი არ იქმნება, მაგრამ დღეს რომ,— სამწუხაროდ თუ საუბედუროდ, ეს სხვა საკითხია,—ქართველია, რა ვუყოთ?

დიაღ, ბატონო „მოსაუბრე“, გარწმუნებთ, რომ, ვიდრე ქართველ ხალხს ქართული ენა არ დაჰვიწყებია, ქართულის ენისა და ლიტერატურის წარმატება ისევე საჭიროა მისის სულიერის არსებობისათვის, როგორც ჰაერი, წყალი და საჭმელი მის ხორციელ არსებობისათვის, და არა არს-რა ისეთი, რასაც ენაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

ვაფრთხილებ-კი ბ-ნ „მოსაუბრეს“ და ვარწმუნებ, რომ უცხო ენების, მეტადრე რუსულის, შესწავლის აუცილებელ საჭიროებას ჩვენთვის არც ჩვენ უარ-ვყოფო.

მაშ საფუძვლიანია სურვილი ისეთის სასწავლებლის დაარსებისა, სადაც ქართულ ენას შესაფერი ადგილი ექმნება დათმობილი.

არც მისთვისა ვართ გასაკიცხი, თუ 20,000 მანეთით ჯერ-ჯერობით დაბალი სასწავლებელი დავიარსეთ, რადგან იგი იქნება საფუძველი, რომელზედაც აშენდება ბოლოს და ბოლოს რაც ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, ქალთა საშუალო სასწავლებელი.

ვასილ წერეთელი.

# ტფილისი

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ჩოლოყაშვილი ატყობინებს, რომ 5 მაისს თელავისა და თიანეთის მაზრის თავად-აზნაურთა ხაგანგებო კრებამ, მოისმინა-რა სამეურნეო საზოგადოების გადაწყვეტილება—კახეთში სეტყვასთან საბრძოლველ მორტირების მოწყობის შესახებ, დაადგინა—მაზრის უფროსმა თავის ნებით ამოარჩიოს კომისია მცოდნე კაცებისაგან ამ საგნის ყოველ-მხრივ გასაცნობად და საქმის განსახორციელებლად. ამასთანავე წინამძღოლი სთხოვს სამეურნეო საზოგადოებას, აცნობოს მას, რა-და-რა შუამდგომლობას აღძრავს მთავრობის წინაშე საზოგადოება.

✦ 27 მაისს კიდევ არ შესდგა ქალაქის საბჭოს კრება. ეს მეოთხე თუ მეხუთე კრებაა, რომ ზედი-ზედ არ შემდგარა.

✦ როგორც კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიიდგან ატყობინებენ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს ნება დაურთავს საზოგადოებისთვის ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის გამგის ადგილზედ მოიწვიოს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კურს-დამთავრებული 1 ხარისხის აგრონომის წოდებით პ. ივანოვი.

✦ გუშინ, 28 მაისს, ტფილისის სასულიერო სემინარიაში დასრულდა კლასიდგან კლასში გადასასვლელი ეგზამენები და დაიწყო მისაღები ეგზამენები. სულ 70 მოსწავლე იჭერს შესასვლელ ეგზამენს.

✦ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა 1000 მანეთი გადასცეს იმ საზოგადოებას, რომელიც ქალაქის ხარჯით შენახულ სკოლების ღარიბ მოსწავლეთ დახმარებას უწევს.

✦ 26 მაისს „სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების“ მიერ გამართულ სეირნობას „ტფილისის საკრებულოში“ დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. შემოსავალი 1400 მანეთს აღემატება.

✦ „კავკ.“-ს სიტყვით, ტფილისში კაპიტალისტთა ერთ წრეს განუზრახავს სახლების ამშენებელ სააქციონერო საზოგადოების დაარსება. ამ საზოგადოებამ ვერაზედ უნდა ააშენოს სახლები. წესდება უკვე შეუდგენიათ და მალე დასამტკიცებლად წარუდგენენ მთავრობას.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა მეორედ მიჰმართა გამგეობას და სთხოვა ფული მუშტაიდის ბაღის გასანათებლად და სუფთად შესანახად. გამგეობა უარზედაა და ამბობს, რადგანაც ბაღი ჩვენ ხელში არ არის, ფულს ვერ გადავდებთო.

✦ 27 მაისს, შუადღის 12 საათზედ, ტფილისის სადგურზედ ისართან ერთმანეთს დაეტაკა ორი მატარებელი—ნავთლუღიდგან მომავალი საქონლის მატარებელი და ლიანდაგზედ მოსიარულე ორთქლმავალი, რომელსაც რამდენიმე ვაგონია ება. დაზიანდა ორივე ორთქლმავალი და რამდენიმე ვაგონი. დაშავდნენ კონდუქტორები პატიაგლოვი და პარახნევიჩი და მუშა ა. კოკუაშვილი.

# საქართველოს ამბები

**გურიის ამხანაგობის „შუამავლის“ არა ჩვეულებრივი წევრთა კრება დ. ლანჩხუთში.** როგორც იცის მკითხველმა, 19 აპრილს მომხდარმა არა ჩვეულებრივმა წევრთა კრებამ, რომელიც შესდგა დ. ლანჩხუთში, სამსახურიდგან გადააყენა ამხანაგობის მმართველი ბ. ს. ჰეიშვილი და მის მაგიერ აირჩია ბ-ნი იოსებ ლაზარეს ძე ქუთათელაძე. საზოგადოების თხოვნით, ბ-ნი ი. ქუთათელაძე დასთანხმდა სამსახურს, თუმცა თვით არჩევნებზე კრებას არ დასწრებია და სრულიად მის-და გაუგებრად მოხდა მისი არჩევა.

27 აპრილს ახალმა გამგეობამ, სარევიზიო კომისიასთან ერთად, ოზურგეთში მოსთხოვა ბ-ნს ჰეიშვილს, კრების დადგენილების თანახმად, ყოველივე ქონება და ანგარიშები. ბ-ნი ჰეიშვილი სამის დღის შემდეგ ძლივს დასთანხმდა ჩაბარებას, მაგრამ ეს ჩაბარება ჩაუბარებლობა გამოდგა, რადგან ახალის გამგეობისაგან მოითხოვა წერილობითი საბუთი იმ ვალების პასუხის მგებლობიდგან განთავისუფლებისა, რომელიც დღეს ამხანაგობას აქვს ბ-ნის ჰეიშვილის თვითნებურის და არა სასურველ მოქმედების წყალობით. ეს ვალები 9000 მანეთს აღემატება, ხოლო ქონება-კი ამის ნახევარს ძლივსა ჰფარავს და ბ-ნმა ჰეიშვილმაც ახალის გამგეობისაგან მოითხოვა ხელ-წერილი ამ გადამე[illegible]ებულ ვალებში, რომ მას პასუხი აღარ ეგო.

წესდების ძალით და კანონითაც ბ-ნი ჰეიშვილი ვალდებულია დარჩეს პასუხის მგებლად, ვიდრე ეს არ გასწორდება; მაგრამ როგორც ჰეიშვილს, ისე იმ მოვალეებს (გარდა ერთისა) ეს არ უნდათ და თხოულობენ ახალ გამგეობისაგან სრულ პასუხის მგებლობას. გამგეობაც, რა თქმა უნდა, არ დასთანხმდა ამ პირობას და მოითხოვეს ჩაბარება „ჩვენს სახელმწიფოში არსებულის კანონების“ თანახმადა, მაგრამ ბ-ნმა ჰეიშვილმა ეს არ ინება და სრულიად უარი განაცხადა ანგარიშების ჩაბარებაზე შემდეგის მოსაზრებით: 19 აპრილს მომხდარი კრება უკანონო იყო, რადგანაც ლანჩხუთში მოხდა (მერე ვისი დანიშნული იყო იქ?!) და არა ოზურგეთში, როგორც ეს წესდების მე-29 §-შია მოხსენებული. მეორე: იმ კრებას უფლება არა ჰქონდა მე (ე. ი. ჰეიშვილი) გამოვეცვალე, რადგანაც ჩემი გამოცვლა კრების მიერ განსახილველ კითხვებში არ იყო შეტანილი ჩემგანაო.

ახალმა გამგეობამ და სარევიზიო კომისიამ, რა-კი დაინახეს ჰეიშვილის ჯიუტობას საზღვარი არ ეძლევა და ერთის კვირის განმავლობაში უნაყოფო ლაპარაკის მეტი არაფერი გამოდგა, შეუდგნენ ქონების ჩაუბარებლად ხელშეკრულობის შედგენას ახალის მმართველის სახელზე, რაც უკვე დაამტკიცა ოზურგეთის ნატარიუსმა ორ მაისს 267 №-რით. ბ-ნმა ჰეიშვილმა აღარც ამის შემდეგ ინება ანგარიშების ჩაბარება და მით იძულებული ჰყო ახალი გამგეობა მოეწვია არა ჩვეულებრივი წევრთა კრება ლანჩხუთში და ეუწყებინა წევრებისათვის ჰეიშვილის თვითნებური და ამხანაგობისთვის საზარალო მოქმედება და ამაზე დაედგინათ თავიანთი მსჯავრი.

ეს კრება იყო დანიშნული 12 მაისს სკოლის დარბაზში. კრებაზე საკმარისი წევრები გამოცხადდა და ბ-ნმა ი. ქუთათელაძემ ითხოვა აერჩიათ თავმჯდომარე. არჩეულ იქნა ბ-ნი ისიდორე რამიშვილი და მდივნად მღ. ლ. წულაძე, რომელთაც ბ-ნმა ქუთათელაძემ წარუდგინა კრების მიერ განსახილველი საგნები. ეს საგნები იყო:

1) მიღება ამხანაგობის ახალის ხელ-შეკრულობისა, რომელიც შედგენილია ძველს საფუძველზე 19 აპრილს შემდგარის ამხანაგობის წევრთა კრების მიერ შეტანილის მცირეოდენ ცვლილებით; 2) ოც-მანეთიანი წილის ბარათის ათ-მანეთიანად შეცვლა და 3) ამხანაგობის გამგედ ყოფილის სოლომონ ჰეიშვილის თვითნებურ და ამხანაგობისთვის საზარალო მოქმედების განხილვა და მსჯავრის დადება.

პირველი კითხვის შესახებ მცირეოდენის ლაპარაკის შემდეგ კრებამ დაადგინა: მიღებულ იქმნას ახალი ხელ-შეკრულობა ამხანაგობისა, ახალის გამგის ბ-ნის იოსებ ლაზარესძის ქუთათელაძის სახელზე შედგენილი და ამა წლის 2 მაისიდგან ოზურგეთის ნატარიუსის შემოწმებული, სრულიად უცვლელად, როგორც ის 19 აპრილს მომხდარს კრებას დაუდგენია. მეორე კითხვის გადაწყვეტაც, პირველსავით სიჩქარით მოხდა: ოც-მანეთიანის წილის ბარათის პატრონებს უნდა დაურიგდეს ათ-მანეთიანი წილის ბარათი (ერთის მაგიერ ორი), ვის სახელზედაც წილის პატრონები ისურვებენ; ხოლო ახალი წევრები მიღებულ იქმნებიან ათ-მანეთიანის წილის ბარათით.

მესამე კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია კრებაში, როცა გაიგეს, რომ ბ-ნი ჰეიშვილი თავის ნებით არ აბარებს ახალს გამგეს ამხანაგობის ქონებას. სარევიზიო კომისიის წევრმა ბ-ნმა თედ. კიკვაძემ განუმარტა კრებას ბ-ნ ჰეიშვილის წესს-გადასული მოქმედება და ურჩია კრებას, მიეცათ იგი სამართალში და გამოერიცხათ ამხანაგობიდგან, როგორც მავნე და უღირსი წევრი. ლაპარაკი გამოიწვია იმან, თუ რა სახით უნდა ჩაიბაროს ახალმა გამგემ ქონება და ვალი?

თედორე კიკვაძემ მოახსენა კრებას: ჩვენ არ შეგვიძლია ახალ გამგეს უთხრათ ვალი ჩაიბარეო და, რომ უთხრათ კიდეც, მე მგონია არ დასთანხმდება და ამჯობინებს სრულიად უარი განაცხადოს. ძველი გამგე უკვე გამოცვლილია. ორმა და სამმა გაზეთმა „ოფიციალურად“ გამოაცხადეს მისი გაგდება ამხანაგობიდგან და დღეს თუ ახალი გამგე იმ ზომამდე მივიყვანეთ, რომ უარი განაცხადა, მაშინ ჩვენი ამხანაგობა უთავო იქნება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ის პირნი, რომელთა ვექსილები ბანკებშია დაგირავებული უზრუნველ ვყოთ და საფრთხეში არ ჩავაგდოთ. იმათ ხელი გაუმართეს ამხანაგობას და რა მათი ბრალია, თუ ბ-ნმა ს. ჰეიშვილმა დააბნია და არია საქმეები. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მათ განსათავისუფლებლად, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენის სურვილის განხორციელება შეუძლებელი ხდება. მათი ვალის განაწილება რომ ამხანაგობის წევრებს დავავალოთ, ამისი უფლება არ გვაქვს, რადგანაც ჩვენი ხელშეკრულობის მესამე პარაგრაფი ეწინააღმდეგება. ამ პარაგრაფში სწერია, რომ ამხანაგობის მოწილე პასუხის მგებელია მხოლოდ თავისი საწევრო ფულით. ახალი გამგეობა თავის პირადის და ქონებრივის პასუხისმგებლობით ამ ვალებს ვერ გადაიტანს თავის-თავზედ, რადგანაც საქმე ბ-ნის ჰეიშვილის მიერ გაფუჭებულია და ახალი[illegible] სრულიად უდანაშაულოდ [illegible] დეს საშიშარ მდგომარეობაში. მაშ რაღა დაგვრჩენია? მხოლოდ ისა, რომ ისევ ოპერაციის საშუალებით გასწორდეს თან-და-თანობით ყოველივე ძველი ანგარიშები. ახალმა გამგემ ბ. ი. ქუთათელაძემ განაცხადა: ყოველ სავაჭრო საქმეს ეჭირვება ფული და აქ არამც თუ ეს არ არის, 8 და 9 ათასი მანეთი ვალი იკ[illegible]რთეო, მეუბნებიან. ამას არა თუ ჩემისთანა ღარიბი კაცი, შეძლებულიც ვერ გაბედავს. თედ. კიკვაძემ ურჩია კრებას დაედგინა ის, რომ ძველი გამგე ს. ჰეიშვილი დაეტოვებინათ ვალების პასუხის მგებლად, და ახალ გამგეს ზომები მიეღო მის გასასწორებლად.

კრებამ დიდის ლაპარაკის შემდეგ თანხმად თ. კიკვაძის მოხსენებისა დაადგინა: 1) ყოფილ გამგეს ს. ჰეიშვილს მიეცეს დღიდგან ერთის კვირის ვადა, რომლის განმავლობაშიაც მან ჩვენს სახელმწიფოში არსებულის კანონების თანახმად ასეთის შემთხვევებისათვის ნებაყოფლობით ჩააბაროს ახალ გამგეს ბ-ნს ი. ქუთათელაძეს ამხანაგობის ქონება და ყოველივე ანგარიში; 2) უკეთუ ასეთი ნებაყოფლობით გადაცემა არ მოახდინა ხსენებულმა ჰეიშვილმა ერთის კვირის ვადაში, მაშინ დაავალოს ახალ გამგეს ბ-ნს ი. ქუთათელაძეს მიჰმართოს სასამართლოს და ამ უკანასკნელის საშუალებით ჩაიბაროს ჰეიშვილისაგან ამხანაგობის ყოველივე ქონება და ანგარიში; 3) ვიდრე ეს ჩაბარების საქმე არ დასრულდება, ამხანაგობის ოპერაცია შეჩერებულ იქმნას; 4) ახალმა გამგემ ჰეიშვილის წინააღმდეგ აღძრას საჩივარი იმ 700 მანეთის შესახებ, რომლის ვადახდა ჰეიშვილს დააკისრა 1901 წლის წარმომადგენელთა საზოგადო კრებამ; 5) ახალმა გამგემვე აღძრას გამგედ ნამყოფის ს. ჰეიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის წესით ბრალდება, იმ საფუძველით, რასაც სარევიზიო კომისია უჩვენებს და 6) კრებამ გამგედ ნამყოფი სოლომონ ჰეიშვილი გამორიცხა ამხანაგობის წევრობიდგან, როგორც მავნე და უღირსი პირი, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამგვარ საერთო საქმეში.

ი. გოგიჩაიშვილი.

—

**ს. კასპი.** აქ ერთი უბედურება მოხდა ამ დღეებში. თავადნი ამილახვარნი და დვანაძე კასპის მახლობლად მდებარე სოფ. კეხაში წავიდნენ და რაღაც მიზეზისა გამო სოფლელებს საქონელი დასტაცეს და წამოასხეს. სოფლელები გულზე მოვიდნენ და გამოუდგნენ მტაცებელთ. ზოგმა თავადმა საქონელს თავი დაანება და გაიქცა, მაგრამ ორი ამილახვარი და დვანაძე დაიჭირეს გლეხებმა და ძალიან სცემეს. დვანაძე იქვე მოკვდა, ხოლო ორი ამილახვარი ცოცხალ-მკვდრები მოიყვანეს სახლში.

—

**ლეჩხუმი.** ჩვენს მაზრაში დიდის ხნიდგან წელიწადში ორჯელ იმართება იარმუკა. პირველი იწყება შვიდს მაისს და თავდება ერთი კვირის შემდეგ, ხოლო მეორე იწყება 13 ენკენისთვეს და გასტანს ორ კვირაზე მეტს. ორსავე იარმუკაზედ ამ რამდენისამე წლის წინად მოდიოდა ხალხი ბევრი მოდიოდა სამეგრელოდგან და ქუთაისიდგან

# ფელეტონი

## ქართული ლაპარაკი

რუსულს ენასა და მწერლობას დღეს ისეთი დიდი მნიშვნელობა, ძალა და გავლენა აქვს ჩვენს კერძო და საზოგადო ცხოვრებაში, რომ ტფილისის დრო-გამოშვებითს მწერლობაში რუსულს გაზეთებს უპირატესი ადგილი უჭირავთ.

ამ ძალისა და გავლენის მიზეზი ერთის მხრივ ის არის, რომ რუსული ენა თითქმის ყველა ცოტად თუ ბევრად განათლებულმა რუსეთის ქვეშევრდომმა იცის და ამისთვის ყველა ადვილად კითხულობს რუსულს გაზეთს; მეორეს მხრივ ტფილისის რუსული მწერლობა უფრო პირდაპირ და ადვილად აქცევს მთავრობის და რუსეთის განათლებულ საზოგადოების ყურადღებას ჩვენს საჭიროებასა და ჩვენის ადგილობრივის ცხოვრების სხვადა-სხვა შესანიშნავ მოვლენას, ვიდრე ქართული ანუ სომხური მწერლობა.

ამ გარემოებამ ჩამოართვა ქართულს მწერლობას, თვით ჩვენს დედა-ქალაქში, პირველი ადგილი და განუსაზღვრა ის პატარა ქართველ მკითხველთა წრე, რომელიც მხოლოდ ქართულ მწერლობის ნაწარმოებს კითხულობს.

რა ჰქნას ამ გვარად შევიწროებულმა ქართულმა მწერლობამ, რა გულითა და რა მეცადინეობით აღასრულოს თავისი ნამდვილი დანიშნულება?

ამიტომ, ჩვენს დღევანდელს მწერლობას თითქმის ერთი მნიშვნელობა-ღა აქვს: არ დაავიწყოს ქართველობას თავისი მშობელი ენა, ურომლისოდაც ქართველობის ხსენება აუცილებლად გაჰქრება ქვეყანაზედ.

ზემოხსენებულ გარემოების ძალით, ყოველი ევროპიულად განვითარებული ქართველი მწერალი, რაკი ხელში კალამს აიღებს, მაშინათვე უნებლიედ თავის თავსა ჰკითხავს, რისთვის ან ვისთვისა ვსწერ? ჰკითხავს იმიტომ, რომ განვითარებული ქართველი მკითხველი სხვა ენაზედ უფრო ბევრსა კითხულობს, ვიდრე ქართულს ენაზედ და ამისათვის ის აზრი, რომელიც ქართულს მწერლობაში გამოითქმება ხოლმე, ზემოხსენებულ ქართველ მკითხველს დიდი ხანია გაგონილი და შეთვისებული აქვს; რაღა თქმა უნდა, რომ ერთხელ წაკითხულს აზრს მკითხველი მეორედ ძნელად-ღა წაიკითხავს, თუ გინდ დიდი პატივის მცემელიც იყოს სამშობლო მწერლობისა.

ყოველივე ესე, რასაკვირველია, არ შეეხება ჩვენს ნიჭიერს მწერლებს, განსაკუთრებით მგოსნებს, რომლებსაც ისეთი ძალა აქვთ ჩვენს სულსა და გულზედ, რომ გადარჯულებულ ქართველისათვისაც-კი ძნელია გარდაიკითხოს მათი ნაწერი, ხოლო რაც შეეხება შუათანა ქართველ მწერალს, სწორედ მოგახსენოთ, მისი ღვაწლი და შრომა თითქმის ფუჭი და უნუგეშოა: ვისაც მისი აზრი ეყურება, ის არა კითხულობს და ვინც კითხულობს, იმას არა ეყურება-რა.

ამ ცოდვის ცეცხლში ჩავარდნილი ქართველი მწერალი, რასაკვირველია, ბევრს იტანჯება და სასოწარკვეთილი ეძებს იმ საშუალებას, რომლითაც შეეძლოს თვისთა მკითხველთა ვიწროდ შემოფარგლული წრე გააფართოვოს; ამ განზრახვით სცდილობს რუსულად შეთვისებული ცოდნა-მეცნიერება და ჰკუისა და გონების განმანათლებელი აზრები ქართულად ისე მაგრა გადაღეჭოს, რომ გადაყლაპვის უმალ მდაბიო ქართველმა მკითხველმა მისი ნაღეჭი მსწრაფლ და ადვილად მოინელოს. ვინ ამბობს, განზრახვა კეთილია, მხოლოდ მისი აღსრულება ამაოა, რადგანაც სხვისა ნაცოხნი და ნაღეჭი, არამც თუ ქართველ მკითხველს, არამედ მშიერ კაცის გულსაც ვერ მიიზიდავს.

მართლა-და რა ჰქნას ბედშავმა ქართველმა მწერალმა? განა ადვილია, რომ, ჟამთა ვითარების გამო, მთელი თავისი სიცოცხლე ცოხნასა და ღეჭვაში გაატაროს?

უნაყოფოდ სამშობლო მწერლობაში შრომას, სჯობს, კაცმა გარეშე მწერლობაში მაინც მიიღოს მონაწილეობა და ამით მაინც გააცნოს ქვეყანას თვისის ბედკრულ სამშობლოს საჭიროება, დარდი და ვარამი.

ვინც რამ უნდა სთქვას და, ჩვენ-კი დარწმუნებული ვართ, რომ ზოგიერთმა ჩვენმა ქართველმა, მაგალითებრ, ნიკოლაძემ, ბახტაძემ და სხვებმა, უფრო ბევრი შეჰმატეს ჩვენს ქართველობას თავიანთ შრომით რუსულს მწერლობაში, ვიდრე ქართულში. მანამ ზემოხსენებულ ქართველებს ტფილისის რუსულ მწერლობაში ძალა ჰქონდათ და იგი მთლად ხელში ეჭირათ, ჩვენი საზოგადოება, და მეტადრე ქართული მწერლობა, საჭირო თანაგრძნობას არ უცხადებდნენ და როცა ამ ზემოხსენებულ მწერლობას ქართველები გამოერჩივნენ, მას აქეთ ყველა ჩვენგანი იძახის: რა უბედურებაა, რომ ტფილისის დრო-გამოშვებითი რუსული მწერლობა სულ ერთიანად სომხების ხელში ჩავარდაო.

ჩავარდა და აგრე? ისე მაგრა უჭირავთ ხელში ორი რუსული გაზეთი და ერთი ჟურნალი, რომ, ვგონებ, მანამ სომხის სახე[illegible] არ გაჰქრება ქვეყანაზედ, მანამ ეს ჟურნალ-გაზეთები არ წაუვათ ხელიდამ. რა, შენი ჭირიმე, ნიკოლაძესავით გაუჭირდებათ და დამპალ ვაშლის ფასად გაჰყიდიან; ვგონებ, ახლებსაც შეიძენენ, თორემ ძველანდელების გაყიდვა ფიქრადაც არ მოუვათ.

არა, უნდა ჭეშმარიტი სთქვას კაცმა, რომ სომხობა ძალიან მოხერხებული ხალხია. ვინ დაგიჯერებდათ ამ ოც და ათის წლის წინად, რომ ტფილისის რუსული მწერლობა სომხებს ჩაუვარდებოდათ ხელში და ჩვენ, ქართველებს, ნებაც არ გვექნებოდა იქ ხმის ამოღებისა, მაგრამ რაც ამ ცოტას ხანს წინად წარმოსადგენადაც ძნელი ყოფილა, თურმე დღეს გახორციელებულა კიდეც.

ეს კიდევ არაფერი. საკვირველი ის არის, რომ ამ ჟურნალ-გაზეთების პატრონები, რომელნიც, ვინ იცის საიდგან გადმოხვეწილნი, დასდგომიან თავიანთ საკუთარს გზას და ისე ქკვიანად და ხერხიანად მიჰყავთ თავიანთი საქმე, რომ, ასე გასინჯეთ, ჩვენს ბედსა და უბედობაზედაც-კი თამამად ლაპარაკობენ; ასე გვგონებათ, ჩვენს დაბადებაში., მონათვლაში და აღზრდაში დიდი მონაწილეობა მიუღიათ და ამიტომაც, როგორც ბებია, ნათლია და აღმზრდელი გულმტკივნეულად ლაპარაკობენ დღევანდელს ჩვენს მდგომარეობაზედ. ავიღოთ თუნდა ტფილისის თვიური რუსული ჟურნალი „კავკასიის მოამბე“, რომელიც ეგერ მესამე წელიწადია არსებობს: როგორც მოგეხსენებათ, მისი რედაქტორი და გამომცემელი ბატონი ყორღანოვია. ბატონი ყორღანოვი, როგორც თვითონ მოგვითხრობს, თურმე გულ-ნატკენია სომხებისაგან, რადგანაც ბ-ნს ყორღანოვს სძულებია ის სომხების ერთვნული თავმოყვარეობა, რომლის გამოც ქართველები განდევნილნი არიან სხვა-და-სხვა სომხურ დაწესებულებიდამ, მაგალითებრ, ტფილისის ბანკებიდამ. როდესაც კაცი ამისთანა ჭეშმარიტებას აღვიარებს წინააღმდეგ იმ საზოგადოებისა, რომლის წევრიც თვითონ არის, რა თქმა უნდა, მკითხველი, მეტადრე ქართველი, თანაგრძნობას განუცხადებს და იტყვის, ყოჩაღ სომეხოო. ჩვენც ასე გვეგონა, როდესაც მისი გულახდილი აღსარება წავიკითხეთ; მაგრამ, როდესაც დავაკვირდით იმის ნაწერს და გავიგეთ მისი საიდუმლო აზრი, მაშინ-კი ნეკზედ ვიკბინეთ.

ამ წლის მაისის ნომერში დაბეჭდილია ბ-ნ ყორღანოვის წერილი, სახელდობ: „სომეხი თუ ქართველი?“ და ეპიგრაფად მოჰყავს სახელგანთქმულ იტალიელ მგოსნის და პატრიოტის დანტეს სიტყვები, Segui il tuo corso e lascia dir le genti! რაიცა, მდაბიურად რომ გადავთარგმნოთ, ნიშნავს: ვინც რამ უნდა სთქვასო, წისქვილმა-კი ფქვასო! სწორედ მოგახსენოთ, ამ ზემოხსენებულ წერილის სათაური რომ წავიკითხე, ელდა მეცა და კინაღამ გული არ გამისქდა. ვსთქვი ჩემს გუნებაში, ვაიმე თუ ამ პირუთვნელმა კაცმა ღირსეულად დააფასოს ჩვენი დღევანდელი დაცემული ოჯახი, ჩვენი ყველაფერში დავარდნილობა, ჩვენი ზარმაცობა, ჩვენი [illegible] რუნველობა, ჩვენი უგზო-უკვლოდ ხე[illegible]

[illegible]

...ბიან თუ არა სტუმარს ეს ახალ-გაზრდა მოქეიფენი და გადაჭკვრენ ნიღსაგან ნაკურთხს სასმელს, —გაისვამენ რევოლვერებზედ ხელს და, მიუხედავად იმისა, რომ სახლსა და ეზო-მიდამოში სტუმარი და მასპინძელი, ქალი და ბავშვი ერთიათავად მიმოდიან და ფუს-ფუსებენ, გააქვს ზუზუნი ქვსის ტყვიით მომზადებულს რევოლვერებს, და, რასაკვირველია, ასეთს მოლხენას, დაშლინგს ხშირად დიდი საცოდაობა და უბედურება მოსდევს ხოლმე: ადამიანის დაჭრა და სიკვდილი, ამის დასამოწმებელი მაგალითები, სამწუხაროდ, მრავალია ჩვენში, მაგრამ მე აქ მხოლოდ ახლად მომხდარს შემთხვევას აღვნიშნავ. ნაადდგომევს, ახალ კვირის მეორე დღის სწორს, სოფ. ჟოშხაში იციან წმიდა ილიას დღესასწაული, რომელსაც ელიობას უწოდებენ. ამ დღეს ორი კაცი დაიჭრა რევოლვერის ტყვიით სმა-ქეიფის დროს. მადლობა ღმერთს, ჭრილობა მომაკვდინებელი არ აღმოჩნდა. რასაკვირველია, დამჭრელს დაჭრილთან არავითარი შური და მტრობა არა ჰქონია.

მიწის მზომელი უკვე მოვიდა ჩვენს მაზრაში. იგი ამ ჟამად ზომავს და მიჯნავს თთ. გელოვანების მამულს ლეხერას.

ქაიხოსრო გელოვანი.

# კავკასია

როგორც „ახ. მიმ.“-ს ატყობინებენ, ტიურკმენში (არეშის მაზრა) ბოროტ-განმზრახველთ რვა კაცი მოუკლავთ. ამათგან ხუთი ქალია, ერთი მამაკაცი და ორი ბავშვი—12-სა და 7 წლისა. ყველას ყელი აქვს გამოჭრილი. მკვლელი არ იციან, ვინ არის.

—

ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო ერთის წლის განმავლობაში შეიკრიბოს შემოწირულებანი ქალაქ ერევანში ახალის ტაძრის ასაგებად.

# რუსეთი

გაზ. „Гражданинъ“-ს გაუგონია, რომ პროექტი თავად-აზნაურობის განყოფილების დაარსებისა შინაგან საქმეთა სამინისტროში თითქმის სავსებით შეუწყნარებია სახელმწიფო საბჭოს, რომელსაც მხოლოდ მცირედ შეუცვლია იგი პროექტი: სათავად-აზნაურო განყოფილების მაგიერ დაარსებული იქმნება სათავად-აზნაურო კანცელარია, რომელსაც დეპარტამენტის ხასიათი ექმნება.

— სათანადო მთავრობას გარდაუწყვეტია, რომ ყველა იმ დაბალ მოხელეთა ქვრივთ, რომელთა ქმრებიც მშვიდობიანობის დროს დახოცილან თავიანთ თანამდებობის აღსრულების დროს და რომელთაც უღიათ წელიწადში არა ნაკლებ 72 მან., დაენიშნოთ პენსიად 36 მან. წელიწადში.

— დაბალ სახელოსნო სასწავლებელთა შესანახად გადადებულია 1902 წლისათვის წინანდელ ფულს გარდა კიდევ 55,000 მან.

— წელს პეტერბურგის დედათა საპედაგოგო კურსებზედ სწავლა დაუმთავრებია 88 მოწაფეს. ოქროს მედალი მიუღია ხუთს, ხოლო ვერცხლისა—რვა მოწაფეს.

— ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით 30 მაისს რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა საზოგადო კრებაზედ განხილული იქნება ტარიფები ნავთის გადაზიდვისა ბაქოდგან პეტერბურგს, რიგას, რეველსა და ლიბავას.

— პეტერბურგის ახალშენი ინგლისელთა აპირებს იდღესასწაულოს დღე მშვიდობიანობის ჩამოგდებისა ინგლისელთა და ბურთა შორის. იგივე ახალშენი დიდის ამბით ემზადება ნადიმის გასამართავად ივნისის 13-ს.

— პეტერბურგის ქალაქის საბჭო პურ-მარილს უმზადებს ბოლგარიის მთავარს ფერდინანდს. საბჭომ უკვე შეუკვეთა ვერცხლის ხონჩა, ოქროში ცურვილი, რომელიც რუსულს ყაიდაზედ უნდა იყოს გაკეთებული.

— მოსკოვის სავაჭრო ბანკიდგან ვიღაც ტიტოვს, ერთის სავაჭრო სახლის ბუღგალტერს, გაუტანია მოტყუებით 60,000 მან. ტიტოვი დაუჭერიათ. აღმოსჩენია მხოლოდ 37,000 მან. დანარჩენი გაუფლანგავს.

# უცხოეთი

**სამხრეთი-აფრიკა.** ეხლა, როდესაც სამხრეთ-აფრიკაში სისხლის ღვრას ბოლო მოეღო, მეტი არ იქნება მოვაგონოთ მკითხველებს უმთავრესი მომენტები ომისა. გასტანა ომმა $2\frac{1}{2}$ წელიწადზედ ცოტა მეტი.

1899 წ.

9 ოქტომბერი. ბურების ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვეს, რომ ინგლისელებსა და მათ შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების გადაწყვეტა სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს და რომ ინგლისმა თავისი ჯარი ტრანსვაალის საზღვრებიდგან წაიყვანოს.

10 ოქტომბერი. ინგლისმა უარ-ჰყო ბურების ულტიმატუმი.

11 ოქტომბერი. ბურები შეესივნენ ინგლისის მიწა-ადგილს (ნატალში).

20 ოქტომბერი. ბურთა გენერალმა ლუკას მეიერმა დაამარცხა გლენკოსთან ინგლისის გენერალი სიმონსი. ინგლისელებმა ლედი-სმიტისაკენ დაიწიეს.

21 ოქტომბერი. ინგლისის გენერალმა ფრენჩმა დაამარცხა ბურები ელანდსლააგტესთან.

30 ოქტომბერი. ბურებმა ნიკოლსონ-ნეკთან ტყვედ წაიყვანეს ინგლისელების რაზმი.

31 ოქტომბერი. გენერალ ბულლერის კაპშტადტში მისვლა.

23 ნოემბერი. ინგლისის გენერალმა მეტუენმა მცირედ დაამარცხა ბურები ბელმონტთან.

24 ნოემბერი. მეტუენის გამარჯვება გრისპანთან.

29 ნოემბერი. საოცარი დამარცხება მეტუენისა მოდდერთან.

10 დეკემბერი. გენერალ გეტაკრის დამარცხება სტორმბერგთან.

11 დეკემბერი. მეტუენის ჯარის განადგურება მაგერსფონტეინთან.

15 დეკემბერი. გენერალ ბულლერის დამარცხება კოლენზოსთან.

1900 წ.

10 იანვარი. რობერტსისა და კიტჩენერის მოსვლა კაპშტადტში.

24 იანვარი. ბულლერის დამარცხება სპიონსკოპთან.

8 თებერვალი. ბულლერის დამარცხება ვაალკრანცთან.

15 თებერვალი. ფრენჩის მიერ კიმბერლეის განთავისუფლება, რომელსაც ბურები ერტყნენ.

18 თებერვალი. მთავარ-სარდალმა რობერტსმა დიდ-ძალი ჯარი შემოარტყა კრონიეს რაზმს, რომელიც 8000 კაცისაგან შესდგება.

27 თებერვალი. დამორჩილება 4,300 კაცით პაარდებერგთან.

28 თებერვალი. ბურები ლედისმიტს თავს ანებებენ.

13 მარტი. ინგლისელებმა დაიჭირეს ორანჟეს რესპუბლიკის სატახტო ქალაქი ბლუმფონტეინი.

18 მაისი. ბურები მეფეკინგს თავს ანებებენ.

27 მაისი. ლორდი რობერტსი ტრანსვაალში შევიდა.

28 მაისი. გამოცხადდა ორანჟეს რესპუბლიკის შემოერთება.

31 მაისი. ინგლისელებმა იოჰანნესბურგი დაიჭირეს.

5 ივნისი. ინგლისელებმა პრეტორია აიღეს და 4,000 ტყვე ინგლისელი განთავისუფლეს.

30 ივლისი. ბურთა გენერალი პრინსლოო 5000 მეომარით ინგლისელებს დაემორჩილა ფურის ბერგთან.

23 აგვისტო. დალმანუტთან ბურების მცირე დამარცხება.

26 აგვისტო. ბურების დამარცხება ბელფასტთან.

20 სექტემბერი. რობერტსმა გამოაცხადა, რომ ომი დამთავრებულია.

20 ოქტომბერი. პრეზიდენტ კრიუგერის ევროპაში წასვლა.

25 ოქტომბერი. ტრანსვაალის შემოერთების ამბის ფორმალურად გამოცხადება.

11 დეკემბერი. რობერტსის წასვლა და მთავარ-სარდლად კიტჩენერის დანიშვნა.

1901 წ.

მარტის პირველი რიცხვი. უნაყოფო მოლაპარაკება კიტჩენერსა და ბოტას შორის.

30 მაისი. ინგლისელების დამარცხება ფლაკფონტეინთან.

6 აგვისტო. კიტჩენერმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბურთა წინამძღოლნი, რომელნიც იარაღს არ დაჰყრიან, განდევნილნი იქმნებიან სამხრეთ-აფრიკიდგან და იმათი ქონება ხაზინას გადაეცემაო.

20 აგვისტო. ბურების გამარჯვება უნიონთან.

11 ოქტომბერი. ბურთა წინამძღოლის ლოტერის დახვრეტა ინგლისელების მიერ.

12 ოქტომბერი. ტყვედ წაყვანა ბურთა წინამძღოლის შეპერსისა (დახვრიტეს 19 იანვარს 1902 წელს).

1902 წ.

30 იანვარი. ჰოლანდიის პირველი მინისტრი შუამავლობას სცდილობს.

10 თებერვალი. დევეტმა გაარღვია გარს შემორტყმული ინგლისის ჯარი.

9 მარტი. ბურებმა ძლიერ დაამარცხეს ინგლისელები ტვებოშთან. მეტუენი ტყვედ მოჰყვა, მაგრამ დელარეიმ გაანთავისუფლა.

17 მარტი. მოლაპარაკების დაწყობა.

31 მაისი. ხელის მოწერა ზავის პირობებზედ.

**ინგლისი.** საოცარის აღტაცებითა და სიხარულით მიეგება ლონდონი ზავის დადების ამბავს. აი რას გადმოგვცემს ერთი გაზეთი: „ამ ამბავს შაბათ საღამოთი მოელოდნენ. მთელი დამე აუარებელმა ხალხმა ახალშენის სამინისტროსა და რედაქციებთან გაატარა. მხოლოდ დილით დაიშალა ხალხი და წავიდა ლონდონიდგან. კვირაობით თითქმის მთელი ლონდონი ქალაქ გარედ მიდის დროს გასატარებლად. სამხრეთ-აფრიკიდგან ზავის ჩამოგდების შესახებ დეპეშა კვირას მოვიდა საღამოთი, როდესაც ლონდონი ცარიელი იყო. რვა საათზედ უკვე გამოაკრეს განცხადებანი ზავის შესახებ. ხალხმა სასიხარულო ამბავი ცხრა საათზედ გაიგო ქალაქს გარედ და 11 საათზედ ზღვასავით მოაწყდა ხალხი ქალაქის შუაგულს. ათასობით და ათი-ათასობით ბრუნდებოდნენ მცხოვრებნი რიჩმონდსა, კევსა და სხვა განაპირა უბნებიდგან. მატარებლებისა და ტრამვაების მუშაობა მთელი ღამე არ შეწყვეტილა. ორშაბათ დილით ქუჩებში თავისუფალ ადგილს ვეღარ იპოვიდით. ყველგან დროშები იყო აფრიალებული, ყოველის მხრიდგან პატრიოტული სიმღერები მოისმოდა. დილის 11 საათზედ საოცარი ჟღლეტა გაჩნდა ქუჩებსა, რესტორანებსა, ყავახანებსა და კლუბებში. ჰაიდ-პარკში 100 ათას კაცზედ მეტი შეიკრიბა. ყველანი საერთო ჰიმნსა მღერიან და სიხარულს ეძლევიან?

ინგლისელთა სიხარულს არ თანაუგრძნობენ მხოლოდ ირლანდიელნი. ისინი სამარცხვინოდ სთვლიან ომს და ამბობენ, ინგლისმა უნდა იწუხოს სახელის წახდენისათვის და კი არა იხაროსო. აი, რას ამბობს იმათი გაზეთი „Irisch „Independent“-ი: როგორიც უნდა იყოს ზავის პირობანი, ბურების მოქმედება და ყოფაქცევა შთამომავლობას სიმართლითა და შარავანდედით მოსილი გადაეცემა. სულ სხვა უნდა ვთქვათ „გამარჯვებულებზედ“, რადგანაც იმათ და არ ბურებმა გამოიწვიეს ომი, რადგანაც ისინი, როგორც ეხლა საბოლოოდ გამოირკვა, იქცეოდნენ უპატიოსნოდ, რადგანაც იმათი ჯარი ბევრად უხეირო გამოდგა ბურთა ფერმერებზედ, ხოლო გაიმარჯვეს იმიტომ, რომ ურიცხვი ჯარი მიუსიეს ერთ მუჭა მებრძოლთ. ამიტომ სამხრეთ-აფრიკის ომი ისტორიის ფურცლებზედ შეტანილი იქმნება, როგორც სამარცხვინო ძალ-მომრეობა. ისტორია გადასცემს შთამომავლობას ძალის გამარჯვებას, რომლის მაგვარიც ჯერ არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ეგრედ წოდებულ ირლანდიის დაპყრობას“.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართველ მოგზაურ არტისტთა დასი ფოთში.**

ტფილისის ქართული დრამატიული დასი ქ. ქუთაისიდგან ფოთში გვეწვია და გაგვიმართა ორი წარმოდგენა: ერთი ხუთშაბათს, მაისის 23, და წარმოდგენილ იქმნა პიესა „ძალა აღმართსა ჰხნავს“ 4 მოქ. კომედია ვალ. გუნიასი, და მეორედ—შაბათს, 25 მაისს—„პირველი ბუზი“ 3 მოქ. კომედია ვალ. გუნიასი და „ბედნიერი ცოლ-ქმრობა“ ერთ მოქ. ვოდევილი მისივე. პირველმა წარმოდგენამ სამაგალითოდ ჩაიარა, ყველა კარგად ასრულებდა თავ-თავის როლს. ხალხი ბლომად დაესწრო, თითქმის მთლად გავსილი იყო საზოგადო კრების დარბაზი, თუმცა ნამეტანი ცუდი ამინდი-კი იყო. დამსწრე საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა და, ამიტომ საზოგადოებამ სთხოვა ერთი წარმოდგენა მაინც გაემართათ კიდევ. მეორე წარმოდგენამი-კი კომ. „პირველი ბუზი“ სუსტად ჩაიარა. საზოგადოებაც ნაკლებად დაესწრო. დასი იმ ღამესვე გაემგზავრა დილიჟნით ბათუმისკენ.

ი. ბ—ბ—ლი.

—

**თელავი.** მაისის 25 თელავის კლუბის დარბაზში გამართული იყო ქართული წარმოდგენა პატივსაცემად ვ. აბაშიძის 25 წლის მოღვაწეობისა.

წარმოდგენილი იყო აჯიმამუდოვის მეთაურობით და ბ-ნ აწყურელისა და გამყრელიძის მონაწილეობით, „ციმბირელი“, კომედია 4 მოქ. ა. ცაგარლისა. წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა. მხარს უჭერდნენ ჩვენის სცენის მოყვარულნი ტფილისის დასის არტისტებს: ბ-ნი აჯიმამუდოვი, რომელიც თამაშობდა მაზუთიანს, თავადის ასული ს. ანდრონიკაშვილი და თავ. ი. ვახვახიშვილი; არა უშავდათ-რა დანარჩენთაც. გაგვაკვირვა ქალბატონ შატბერაშვილის თამაშმა. ეს პატივსაცემი ქალი პირველად გამოვიდა სცენაზედ და [illegible] აბაშიძის დიდი სურათი გვირგვინით იყო შემკული, გარეშემო სცენის მოყვარულნი მწყობრად იდგნენ. ფარდა აიხადა. სცენის მოყვარულებმა ტაში დაუკრეს და ვაშა დასძახეს. ამას მოჰყვა საზოგადოების ვაშას ძახილი. საზოგადოება ნასიამოვნები დაბრუნდა.

დამსწრე

# სასამართლო

**მარიამ კასაკოვსკის მოკვლა ექიმის ვოინოს სადგომში.**

სასამართლოს ზალა დღეს სავსეა ხალხით. დამსწრეთა შორის უფრო მეტი მანდილოსანია. მსურველი ბევრია საქმეს დაესწროს, მაგრამ დარბაზის სიმცირის გამო ბილეთებით არის შესვლა. ამ საქმის თაობაზე გამოწვეულია 32 მოწმე, რომელთაც სასამართლოს უფროსი სხვა-და-სხვა რჯულზე აფიცებს.

ბრალდებულის ალაგს, ორს დარაჯს შუა მომწყვდეულია ექიმის ვოინოს მზარეული უსეინ-რახიმ-ოღლი 20—22 წლის ქერა წვერიანი ყმაწვილი კაცი. თვალები ახვეული აქვს თეთრის სუფთა ტილოთი.

გამოირკვა, რომ ბრალდებულს უთხოვნია სასამართლოსათვის დღეს იმის ავადმყოფობის გამო არ გაირჩეს საქმე—მაგრამ ექიმის გემოწმებით თვალების ავადმყოფობა მას განგებ მოუხდენია რაღაც წამალით და არც ისე ავად არის, რომ საქმის გარჩევას ვერ დაესწროს. სასამართლომ გადასწყვიტა საქმე დღესვე გაირჩეს.

თავმჯდომარე კითხულობს ბრალდების ოქმსა შემდეგის შინაარსისას.

6 ნოემბერს 1901 წელს, მიხაილოვის ქუჩაზე, ექიმის ვოინოს სადგურში მოხდა საზარელი მკვლელობა. ექიმთან ერთად მცხოვრები ქალი მარია კასაკოვსკისა ნახეს მოკლული. მკვლელს იგი ოთხჯერ მძიმედ, სასიკვდილოდ დაუჭრია. იქვე ნახეს ექიმი ვოინო თავში და ფეხში დაჭრილი.

შუა-ღამის შემდეგ, როდესაც ესენი მძინარენი ყოფილან თავ-თავიანთ საწოლზე—შემოესმისთ საშინელი ჩხრიალი, ორივე გამოიღვიძებენ და მარია კასაკოვსკისა ეკითხება ექიმ ვოინოს „გაიგონე თუ რა ხდებაო?. ვოინოც იმას ამშვიდებს, „ეს უთუოდ მიწის ძვრა არის და ნურას გეშინიანო“. ამ დროს გაიელვებს წუმწუმა და მერმე ისევ ჩაქრება, ამ უცაბედს სინათლეზე ორივე საწოლიდან ავარდებიან, შეიქნება ყვირილი, კივილი და მერმე-კი ყველაფერი მისწყდება. პრისტავი ტერ-გრიგოროვი, ექიმი როზემბაუმი, პოლიციის ბოქაულნი, ოფიცერი პეტროკოვი და სხვ. ყვირილზედ და ვოინოს გამოწვევაზედ მივლენ იმის ბინაზედ და ნახვენ მოკლულს მარია კასაკოვსკისას და დაჭრილს ექიმს ვოინოს.

გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ამ საქმის ჩამდე-

---

და საქვეყნოდ გამოამჟღავნოს, რომ ქართველები სომხებთან შედარებით გროშად არა ჰღირან. განა მე თვითონ არ ვიცი, რომ ჩვენ გროშად არა ვღირვართ, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ქართველი ვერ აიტანს, როდესაც გარეშე კაცი მის ნაკლებულებას და ყოვლის მხრივ დაცემას საქვეყნოდ გაიტანს. შინაურმა რაც უნდა ბევრი გვლანძღოს და გვათრიოს, არ გვეწყინება, იმიტომ რომ შინაურისაგან გაკიცხვას და გალანძღვას ისე მივიღებთ, როგორც მშობელ დედამამისაგან დატუქსვას; ჩვენ ვიცით, რომ დედამამას ჩვენთვის გული სტკივა და, თუ გვიჯავრდებიან და გვლანძღავენ, მხოლოდ იმისთვის, რომ კარგები ვიყვნეთ და აღსრულდეს ქართული ანდაზა: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო.

მაგრამ, ჩვენი გულთმისნობა არ აღსრულდა...

თუმცა სამი წელიწადია მას აქეთ, რაც ბ-ნი ველიჩკო განდევნილ იქმნა ჩვენის ქვეყნიდგან, თუმცა ველიჩკოს მომხრენი ჩვენს ქართველობაში თითქმის არავინ არის, რადგანაც ვიცანით, რა კაციც ყოფილა, მაგრამ ყორლანოვს დღესაც ვერ მოუნელებია ვითომ მისგან დათესილი ღვარძლი და შხამი ქართველთა და სომეხთა შორის. ბ-ნს ყორლანოვს რომ ყური დაუგდოთ, გამოდის, რომ ნამდვილი მიზეზი ჩვენსა და სომხებს შუა ეროვნულის განხეთქილებისა ბ-ნი ველიჩკო და იმისი მზგავსი წერილები არიან, თორემ უამისოდ ამ ორს ხალხს შუა არავითარ უთანხმოებას და ეროვნულს განხეთქილებას ადგილი არ ექმნებოდა..

კეთილი და პატიოსანი, ჩვენც ეგრე გვეგონა. მართლა-და რა გვაქვს ან საჩხუბარი და ან გასაყოფი? რაც უნდა უმადური სტუმრები იყვნენ სომხები, მაინც კიდევ სტუმრები არიან და, როგორც სტუმრები, დღეს აქ არიან, ხვალ წავლენ; მართალია, შინ ვერ წავლენ, რადგანაც თავიანთი შინა არა აქვთ, მაგრამ სომხები არც მაგისთვის შესწუხდებიან: საცა მიხვიდე სვრინაო, იქ არის შენი ბინაო.

მაგრამ, თურმე ბ-ნს ყორლანოვს სულ სხვა გულის ტკივილის მიზეზი ჰქონია. ამას განუზრახავს დაამტკიცოს ის, ვითომ და მეცნიერული ჭეშმარიტება, რომ ქართველები ძველთა უძველესობიდამ სომხებს ემტერებოდნენ, ჰღვრიდნენ მათს სისხლს და ბოლოს დამარცხებულნი მრავალჯერ სომხებს დაუმონავდნენ და ხარჯსაც აძლევდნენ.

როდის დაგვამარცხეს სომხებმა, როდის ვაძლევდით ხარჯს სომხის სახელმწიფოს, რომლის თავი და ბოლო თვით სომხებსაც არ გაეგებათ, ამას, რასაკვირველია, „კავკასიის მოამბის“ განათლებული რედაქტორი არ მოგვითხრობს, რადგანაც იცის, რომ ყველა დაუჯერებს ამ უცნაურს ისტორიულ ჭეშმარიტებას. ეს კიდევ არაფერი. ბატონი ყორლანოვი განაგრძობს და მოჰყავს ქართველთა და სომეხთა შორის განხეთქილების მიზეზად მათი სხვა და სხვა გვარი ბუნებრივი ხასიათი, რომელიც უშლის ამ ორს ხალხს შეერთებას.

ეს-კი, მგონია, მართალია...

ჩვენს თვისებასა და ხასიათზედ ბ-ნ ყორლანოვს არც ერთი მოწმე არ მოჰყავს, მხოლოდ თავის ხალხის საქებლად და სადიდებლად მოჰყავს ინგლისის მგოსანი ბაირონი, რომელიც თურმე ამბობს: „ძნელია კაცმა სადმე აღმოაჩინოს ისეთი ხალხი, რომლის წარსულ ცხოვრებაშიაც უფრო ნაკლებად იყოს ავ-კაცობა, ვიდრე სომხები; სომეხთა უმთავრესი ხასიათი—კეთილ-მოქმედება და მშვიდობიანობაა, და გარყვნილობა მხოლოდ ძალადობის შედეგია“. მაშასადამე, სომხების უმთავრესი ზნე—კეთილ მოქმედება ყოფილა და, რადგანაც ქართველები და სომხები, თავიანთ ბუნებრივ ხასიათის განსხვავების გამო, ერთმანეთში ვერ მოთავსებულან, სჩანს, ქართველები კეთილ-მოქმედების წინააღმდეგნი ყოფილან. მაშასადამე, სომხებს მთელი თავისი სიცოცხლე კეთილ-მოქმედებაში გაუტარებიათ და, ალბად დღესაც ატარებენ, და ჩვენ-კი, რადგანაც სომხებთან ვერ მოვთავსებულვართ, ავ-მოქმედების გზაზედა ვდგევართ.

ღვთის წინაშე, თვით ბ-ნი ველიჩკოც არ იკადრებდა ამისთანა უსამართლო და უსაბუთო სჯას, როგორსაც ბ-ნი ყორლანოვი კადრულობს. იმ უბედურმა თავის სიცოცხლეში იქნება ერთად-ერთხელ იკადრა უსაბუთო სჯა... ხოლო ბ-ნი ყორლანოვი ისეთი ბედნიერი და მოხერხებული რედაქტორია, რომ ქართველების ლანძღვა-თრევას ლოცვა-კურთხევათ გვასმენს.

მაგრამ ეჰ, ღმერთი მოწყალეა! თუ სომხებმა ველიჩკოს გაუძლეს, ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრება, რომ ყორლანოვებს ვერ გავუძლოთ! საცინელი და სატირალი ის არის, რომ ყორლანოვები, რომლებსაც ქართველებისაგან უღგიათ სული, ქართველებზედ ზემოხსენებულ აზრებს ჰქადაგებენ, მაგრამ რას იზამს კაცი?! ასეთი დროა: დათვი საძალლედ გახდაო, იმისი საქმე წახდაო.

ნინია გარეჯელი.

ნი უნდა იყოს ვოინოსთან ნამყოფი მზარეუ-ული უსეინ-რახიმ-ოღლი, რომელსაც თანა-შემწეც უნდა ჰყოლოდა. ამ გვარად ბრალ-დებულად ცნობილი უსეინ-რახიმ-ოღლი იქმნა შეპყრობილი და სისხლის სამსჯავრო-ში მიცემული.

როდესაც ბრალდების ოქმი წაიკითხეს და რახიმ-ოღლის ჰკითხეს, იცნობს თუ არა თავის-თავს დამნაშავეთ, იგი უგემურად, თითქოს იმას ეს საქმე არ შეეხებოდეს, უპასუ-ხებს—არაო!!

ამის შემდეგ დაიწყება მოწმეთა შეკითხვა.

პირველად გამოიწვევენ ექიმს ვოინოს.

ვოინო, შნოიანი სახის, გაჭაღარავებული თმით, ჭკვიანი თვალებით წამოდგება წინ და დაიწყებს მღელვარე ხმით:

— 6 ნოემბერს, წასულს წელს, მე მივიღე 75 მანეთი, სამი ოც-და-ხუთ მანეთიანი ბილე-თი, მაკაროვისაგან და მოველ შინ. ვუთხა-რი მარია კასაკოვსკის, რომ ხვალ უნდა წაიღოს 100 მანეთი და გადასცეს ბანკით ჩემ შვილებს ოდესაში. ფულების რაოდენობა სწორედ იმიტომ დამანახსომდა, რომ ჩე-მთვის სავალდებულო საქმეს ვასრულებდი. მარია კასაკოვსკიმ შემომჩივლა, რომ ზახარი, ჩვენი მაშინდელი მოსამსახურე, იკარგება ხოლმე და როდესაც-კი საჭიროა, შინ არ არის.

6 საათზე საღამოზე ავადმყოფების მიღება გავათავე და ზაქარია კიდევ არ იყო შინ. 7 საათზე მე წაველი კონსილიუმზე და იქიდ-გან დაბრუნებულს 8—9 საათზე ბიჭი კიდევ არ დამიხვდა შინ. ჩვენთან მოვიდა ნაცნო-ბი ბრანოვსკი, 11 საათამდის დაჰყო, ვივახ-შმეთ, სუფრა გაშალა და საჭმელი მოგვაწოდა მარია კასაკოვსკიმ, რადგან ბიჭი კიდევ არ მოსულიყო.

12 მეოთხედ საათზე დავწექით დასაძინებ-ლად. არ მახსოვს, რომელ საათზე შემომესმა საშინელი რახრუნი და თან მარიას ხმა: „გაი-გონეო“?..—ეს უთუოდ მიწის ძვრაა, ვუთხარ მე და ამ დროს ვიღაცამ გაჰკრა წუმწუმა, რომელიც მყისვე ჩაქრა. მოვასწარ უცხო კაცის დანახვა და ფეხზე წამოვვარდი. მომე-სმა საშინელი კივილი და თან მარია კასაკოვს-კის ყრუ ხმა. „შე ავაზაკო, არამზადავ-მეთქი... და სანამ რაიმე გამოვარკვიე, საშინლად მომხვ-და თავში და იქვე წავიქეცი უგონოთ... არ ვიცი, რამდენი ხანი ვიყავი ეგრე, მხოლოდ როდესაც რაიმეს გაგება დავიწყე, გავარჩიე, რომ მე ვაგდივარ თითქმის მთელის ტანით საწოლს ქვეშ, ვიღაცას სანთელი დაუნთია და ოთახში მიდი-მოდის და ყველაფერსა რევს. ფეხზე წინდები ეცვა და ჩოხის ბოლოსაც ვხედავდი საწოლის ქვეიდამ... ერთ დროს ისე მომიახლოვდა ეს ფეხები, რომ თითქმის ჩემს თავს ეხებოდნენ და მეც დავაპირე იმისი ხელებით ცემა და ძირს დამხობა, მაგრამ თუ-რმე მძიმედ დაჭრილი ვიყავი და განძრევაც ველარ მოვახერხე. ამის შემდეგ მომესმა თით-ქოს ეს ვიღაცა ქაღალდებსა ხევს. გამახსენდა, რომ ტუალეტის მაგიდაზე ლამპა დგას და წა-რმომიდგა სწორედ ნავთი უნდა მოასხას ოთახს და ამ ქაღალდებით ცეცხლი წაუკიდოს-მეთ-ქი სახლსა და ამით დაჰფაროს თავისი ავაზაკობა. უზენაესმა შიშმა ამიტაცა, მოვიკრიბე რაც ძალი და ღონე მქონდა, ავიწიე, ავსწიე საწოლიც და ხელში მომხვდა საწოლ ქვეშ გადაგდებუ-ლი რკინის ჯოხი, დავავლე ხელი და არა-კაცურის ხმით შევსძახე „მე შენ მოგკლავ, შე არამზადავ“... ამ ხმაზედ ეტყობოდა ის შეშინ-და და მღელვარედ წაილუღლუღა—მივდი-ვარ, მივდივარო და კიდეც გაჰქრა ოთახი-დგან. მაშინ შევამჩნიე, რომ ეს კაცი უთუ-ოდ უსეინ-რახიმ-ოღლი უნდა ყოფილიყო.

ის მე დავითხოვე სახლიდამ უზრდელობი-სა და ქურდობის გამო სწორეთ თვე-ნახევ-რის წინეთ.

როდესაც ვიგრძენი, რომ ოთახში არა-ვინ არის, მოვინდომე მეშველის პოვნა და დიდის გაჭირვებით წამოვჩოჩდი წინ... მაგრამ გადავაწყდი მარია კასაკოვსკის გვამს... რომელიც კარებთან სისხლის მორევში ცუ-რავდა. (აქ ექიმ ვოინოს ცრემლები მოერევა, ცდილობს თავი შეიმაგროს და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ განაგრძობს) სკამებზედ დაბ-ჯენის საშუალებით მივახწიე კაბინეთის მა-გიდასთან. ყველა წიგნები, ქაღალდები არეუ-ლი იყო. ტელეფონით დავუძახე პოლიციას, გავაღე ფანჯრები მიხაილოვის ქუჩისაკენ და ვიყვირე: გვიშველეთ, აქ მკვლელობა მოხდა, ავაზაკებია-მეთქი. მოვიდნენ, როგორც იქნა, პოლიციელნიც და სხვა ხალხიც.

(შემდეგი იქნება)

## შემოწირულება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ სა-ზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულ ბაზ-რობას შესწირეს:

საამფთიაქო საქონლით მოვაჭრე ქართველ ფარმა-ცევტთა ამხანაგობამ—57 ნაჭერი კოსმეტიკისა და პა-რფიუმერიის საქონელი; ანნა გიორგი ივანოვის ასუ-ლმა: სამელნე ბროლისა, მაქსოვილი გაზეთების ჩა-საწყობი, კედელზედ ჩამოსაკიდი ორი თეფში, ერთი აბრეშუმის პარკი; ნინო აბულაძისამ—ორი დუჟინი თეფში; ნ. ი. ვაჟიკაშვილმა—10 ბოთლი ღვინო.

## „ივერიის“ ფოსტა

**ქ. თ—ვს, ვ. თ—ს:** თქვენი ლექსი „სიყვარული“ არ დაიბეჭდება.

# დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 მაისი

**ერევანი.** ყველგან გუბერნიაში კარგის მოსავლის იმედი აქვთ.

**ტამბოვი.** ცნობები მოსავლის შესახებ უმეტეს შემთხვევაში საიმედოა. თუ დიდი სი-ცხეები არ დადგა, მოსავალი კარგი იქნება.

**ვარშავა.** პეტერბურგში მიმავალმა ბოლ-გარიის მთავარმა ვარშავაზედ გაიარა.

**ასხაბადი.** ეკონომიური მდგომარეობა მე-რვისა და პაჯენის მაზრებისა (იმიერ-კასპიის მხარე) უწყლობისა, კალიისა და საქონლის ჭირის გამო იმდენად დაქვეითებულია, რომ ხალხის გამოსაკვებად და თესლის შესაძენად საჭირო იქნება 500,000 მანეთი. რათა ეს სა-ჭიროებანი დაკმაყოფილებულ იქმნენ, საშუა-მდგომლოდ პეტერბურგს მიდის ოლქის უფ-როსი გენერალი სუბბოტჩი.

**სიბილენორტი.** მეფე უკედ შეიქნა.

**ლონდონი.** „Daily Mail“-ში დაბეჭდი-ლია 15 მაისს პრეტორიდგან გამოგზავნილი ცნობა, რომელიც იუწყება, რომ ამ დღეს, იმაზე ცოტა ადრე, ვიდრე ვერეინიგინგში მოლაპარაკება დაიწყებოდა, პრეტორიაში 60 კაცზედ მეტი დააპატიმრეს ინგლისის მოხელეთა წინააღმდეგ შეთქმულებაში მონა-წილეობისათვისაო. ასეთივე ამბავი დაბეჭდი-ლია „Daily Telegraph“-ში.—კიტჩენერი იუწყება, რომ ბურები იარაღს იხსნიან; მოი-ტანეს 1986 თოფი. კლერკსდორპში დაგვე-მორჩილა გენერალი ლილენბერგი 470 კა-ცითაო.

**რომი.** პრინეტისა და დეპუტატ ფრანკე-ტის შორის მომხდარ დუელის დროს ფრან-კეტი მსუბუქად დაიჭრა ყურში.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“ აც-ხადებს, რომ სიმართლეს მოკლებულია ევ-როპაში მყოფ ბურების მიერ გავრცელებული ამბავი, ვითომ ოფიციალურად გამოცხადე-ბულ დამორჩილების პირობებს დაუმატეს რაღაც სხვა საიდუმლო პროტოკოლი ან პირობაო.

28 მაისი.

**ლონდონი.** შალკ-ბურგერი და ბოტა თა-ვიანთ ეპისტოლეში ბურების მიმართ მხურ-ვალე მადლობას უცხადებენ მოვალეობის თავდადებით ასრულებისათვის და დასძენენ: „ეხლა, როდესაც ჩამოვაგდეთ ზავი,—თუმცა არა ისეთი როგორიც გვინდოდა,—შევჯერ-დეთ, რასაც ღმერთმა შეგვასწრო. სვინიდი-სის წინაშე შეგვიძლიან ვთქვათ რომ ორ წელიწად-ნახევარი ხალხი იბრძოდა და ისე რომ, ვექვთ, ისტორიაში მაგის მაგალითი მოიპოვებოდეს: ახლა-კი შეუდგეთ ახალს დიდს ბრძოლას, გადავდოთ ყოველი მწარე გრძნობა, დავივიწყოთ და დავთმოთ, რომ ღრმანი ჭრილობანი გავიმთელოთ.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა, მიიღო-რა მხედველობაში, რომ ჟურნალ-გა-ზეთს „გრაჟდანინში“, წერილში სათაურით „დღიური“, ავტორი თავის თავს ნებას აძ-ლევს და კადნიერად მსჯელობს გუბერნიის მართველობის უმაღლეს მოხელეთა შესახებ, და ავიწყდება ჯეროვანი პატივისცემა ამ უფ-ლების წარმომადგენელთა მიმართ, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა, გამოეცხადოს გაზეთს „გრაჟდანინის“ რედაქტორ-გამომცე-მელს თავად მეშჩერსკის პირველი გაფრთხი-ლება.

**პეტერბურგის ბირჟა**, 24 მაისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,15 |
| ბერლინში 100 მარკაში | 37,40 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,90 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,62½ |
| ბირჟის დისკონტი | 4½—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96¾ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 98¾ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 475 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 362 გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 292 წვ. გაყ. |
| 4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | 88⅜ წვ. გაყ. |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | 83¼ წვ. გაყ. |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 89⅝ გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 10500 გაყ. |
| აქციები ,, | |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 4530 „ |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 432 წვ გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | 182 წვ. გაყ. |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. | — |

## ყოველ-დღური საჭირო ცნობანი:

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრი-ლიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

| | მოდის ტფილ. | გადის ტფილ. |
|---|---|---|
| **ბ ა ქ ო.** | | |
| სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) | 3 ს. 43 წ. დღ. | 11 ს. 49 წ. დილ. |
| ფოსტის „ (ყოვ.-დღე) | 4 ს. 54 წ. დღ. | 1 ს. 34 წ. დღ. |
| სამგზავ. „ „ | 8 ს. 37 წ. დილ. | 8 ს. 22 წ. საღ. |
| **ბ ა თ უ მ ი.** | | |
| სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) | 10 ს. 2 წ. დილ. | 7 ს. 43 წ. დილ. |
| ფოსტის „ „ | 12 ს. 32 წ. დღ. | 6 ს. 7 წ. საღ. |
| სამგზავ. „ „ | 7 ს. 37 წ. საღ. | 9 ს. 27 წ. დილ. |
| **ყარსი და ალექსან.** | | |
| ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) | 7 ს. 18 წ. დილ. | 9 ს. 28 წ. საღ. |
| ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან) | 4 ს. 35 წ. დღ. | 3 ს. 13 წ. დღ. |
| **ბ ო რ ჯ ო მ ი.** | | |
| სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე) | 6 ს. 57 წ. დილ. | 6 ს. 22 წ. დილ. |
| სამგზავრო „ „ | 9 ს. 53 წ. საღ. | 2 ს. 28 წ. დღ. |


# განცხადება

ნავთის-მრეწველთა ამხანაგობის

## „შ ხ ტ ა ს“

გამგეობა იწვევს პაის პატრონთ პირველ წლიურ საზოგადო კრების განსაგრძობად, რომელიც მოხდება კვირას, 2 ივნისს, დილის 10 საათზედ, გურგენოვის ბაღში, მიხეილის პროსპექტზედ, № 143.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მიერ უკვე წაკით-ხულ მოხსენებათა და წლიურ ანგარიშისა.

2) მოქმედების გეგმა 1902 წლისათვის;

3) გამგეობის მეხუთე წევრის ამორჩევის საქმე და

4) სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და ორის მათის კანდიდატის ამორჩევა.

(1—352—1)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია-ში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

## ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლისა ფასი 10 კ.

და

## მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

**წერაკითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გა-მოცემული წიგნები:**

| | |
|---|---|
| საუმწვილო ამბები ეკ. გაბაშვილმა | „ 30 |
| საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ. | 1 40 |
| Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ | „ 60 |
| სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა | 1 მ. „ |
| მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა. | „ 30 |
| ყოველის მხრიდგან. არბოლისა. | „ 10 |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა | „ 50 |
| ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი | ,, 15 |
| ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა | ,, 15 |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი | ,, 5 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | ,, 30 |
| აბო ტფილელი, ე. კ. | ,, 30 |
| Або Тифлисскій, Е. К. | ,, 5 |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ | ,, 60 |
| გიორგი და მიხეილი | ,, 10 |


# ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკმა

7 მაისს, 1902 წელს მოახდინა ორმოც-და-მეთოთხმეტე ტირაჟი ამა ბანკის გირავნო-ბის ფურცლებისა.

ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლების განაღდება დაიწყება 1902 წლის პირ-ველ ივლისიდგან:

ტფილისში—ბანკის კასსაში; პეტერბურგში—პეტერბურგის საუჩეტო და გამსესხებელ ბანკებს, ლიონის კრედიტსა და ყველა იმის განყოფილებაში, პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკსა, პე-ტერბურგის საერთა-შორისო საკომერციო ბანკსა და ყველა იმის განყოფილებაში, ი. ვ. იუნკერის და ამხ. საბანკირო სახლში; ოდესაში—ბ-ნ ო. ხაისთან; მოსკოვში—მოსკოვის საუჩეტო ბანკსა, მოსკოვის საერთა-შორისო სავაჭრო ბანკსა და ყველა იმის განყოფილებებში, ძმ. ჯამგა-როვების სავაჭრო სახლში; ვარშავაში—ვარშავის საკომერციო ბანკსა და ყველა იმის განყოფილე-ბაში; ტაგანროგში—აზოვო-დონის საკომერციო ბანკსა და ყველა იმის განყოფილებაში; რიგაში—რიგის საკომერციო ბანკსა და იმის განყოფილებებში; რეველში—ბალტიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკში და სახელმწიფო ბანკსა და ყველა იმის კანტორასა და განყოფილებაში.

ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებს თან უნდა ახლდეს ყველა კუპონი, რომელთაც ვადა 1902 წლის 1 ივლისს შემდეგ გასდის. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკლებულ კუპონების ფული დაჭე-რილი იქმნება გასატან თანხიდგან.

ნომრები 5% გირავნობის ფურცლებისა, რომელნიც მე-54 ტირაჟში გამოვიდნენ:

100 მ ა ნ ე თ ი ა ნ ღ ი რ ე ბ უ ლ ო ბ ი ს ა.

| ვადით. 29 წ. 9 თვ. | ვადით. 36 წ. 4 თვ. | ვადით. 61 წ. 8 თვ | უ ვ ა დ ო. | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 217 | 1040 | 765 | 2488 | 3064 | 7139 | 9882 |
| 51 | 222 | 1062 | 774 | 2489 | 3351 | 7140 | 9970 |
| 52 | 242 | | 985 | 2771 | 3478 | 7141 | 10569 |
| 64 | 263 | | 1020 | 3026 | 3784 | 7142 | 10570 |
| | 279 | | 1128 | 3027 | 3827 | 7143 | 10571 |
| | 297 | | 1145 | 3028 | 3918 | 7144 | 10994 |
| | 1153 | | 1223 | 3029 | 4009 | 7145 | 10995 |
| | 1233 | | 1257 | 3030 | 4187 | 7146 | 11520 |
| | 1245 | | 1326 | 3031 | 4188 | 7147 | 12354 |
| | 1299 | | 1489 | 3032 | 4782 | 7148 | 12355 |
| | 1445 | | 1670 | 3033 | 4783 | 7149 | 12356 |
| | 1540 | | 1694 | 3034 | 5394 | 7150 | |
| | 1596 | | 1700 | 3035 | 5395 | 7151 | |
| | 1911 | | 1701 | 3048 | 5396 | 7152 | |
| | 2000 | | 1781 | 3060 | 5512 | 9878 | |
| | 2044 | | 2146 | 3061 | 5592 | 9879 | |
| | 2085 | | 2318 | 3062 | 7137 | 9880 | |
| | | | 2319 | 3063 | 7138 | 9881 | |

500 მ ა ნ ე თ ი ა ნ ღ ი რ ე ბ უ ლ ო ბ ი ს ა.

| ვადით 36 წ. 4 თ. | უ ვ ა დ ო. | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 125 | 141 | 830 | 1686 | 3624 | 5492 | 6419 | 8199 | 10604 |
| 129 | 157 | 849 | 2573 | 3733 | 5514 | 6420 | 8350 | 10605 |
| 400 | 225 | 887 | 2702 | 3738 | 5580 | 6501 | 8351 | 10606 |
| 789 | 315 | 994 | 2705 | 4096 | 5581 | 7001 | 8352 | |
| 864 | 493 | 1018 | 2706 | 4280 | 5582 | 7062 | 8353 | |
| 877 | 598 | 1059 | 2798 | 4460 | 5583 | 7384 | 8354 | |
| | 645 | 1232 | 2824 | 4549 | 5657 | 7534 | 8355 | |
| | 673 | 1344 | 2825 | 5189 | 5721 | 8195 | 8732 | |
| | 689 | 1379 | 3074 | 5436 | 5752 | 8196 | 9601 | |
| | 755 | 1421 | 3529 | 5439 | 5753 | 8197 | 10601 | |
| | 787 | 1641 | 3538 | 5468 | 5757 | 8198 | 10603 | |

1000 მ ა ნ ე თ ი ა ნ ღ ი რ ე ბ უ ლ ო ბ ი ს ა.

| ვადით. 36 წლ. და 4 თვ. | უ ვ ა დ ო. | | | |
|---|---|---|---|---|
| 107 | 566 | 13102 | 21250 | 23320 |
| 1014 | 825 | 13473 | 21251 | 23321 |
| | 2474 | 13605 | 21254 | 23322 |
| | 4554 | 14382 | 21958 | 23323 |
| | 4621 | 18245 | 22501 | 23324 |
| | 4661 | 19330 | 23301 | 23732 |
| | 5126 | 19900 | 23302 | 23778 |
| | 5559 | 20084 | 23303 | 23846 |
| | 6200 | 20193 | 23304 | 23927 |
| | 6447 | 20601 | 23305 | 23928 |
| | 6698 | 21245 | 23306 | 23929 |
| | 7081 | 21246 | 23307 | 23930 |
| | 12067 | 21247 | 23308 | 24193 |
| | 12711 | 21248 | 23318 | 25476 |
| | 13052 | 21249 | 23319 | 26000 |


# ამხ. „ვერეიჩევი და კამენმახერი“

ღირს-ქმნილი თვისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის საიუბილეო გამოფენის **მედალისა**

და გაზეთ „Тифл. Лист.“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა (№ 277, 1901 წ.) აუწყებს ყველას, რომ მიხეილისა და ნემცების ქუჩის კუთხეში, სლივიცკის სახლში გაჰმართა

# სტამბა და სახაზავი,

რომელნიც მოწყობილია ტეხნიკის ყოველ მოთხოვნილებისა თანხმად და ამიტომ შეეძლება ყოველ-გვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შეასრულოს ყოველ ევროპიულსა და აქაურ ენაზედ

## კოხტად, სწრაფად და იაფად

23 მარტიდგან სტამბის კანტორა ღიაა ყოველ-დღე. სტამბაზედ მოშორებით მცხოვრებ-ნი მუშტარნი არ შესწუხდნენ სტამბაში მოსვლით, ,,ვერეიჩევისა და კამენმახერის'' ამხანა-გობას მრავლად ჰყავს მოსამსახურე ხალხი, რომელნიც სურვილისამებრ ეახლებიან და მიი-ღებენ მუშტართაგან საქმეებს. ტელეფონი № 852.

(25—309—21)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 мая 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი **ა. ი. სარაჯიშვილი.** გამომცემელი **ი. ჭავჭავაძე**